ოქმი:**ო63. 63261454**
თარიღი:**25/05/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 4

18 მაისი, 2026 წელი

მიმდინარე წლის 18 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გოჩა არველაძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა არველაძე, ვაჟა სტურუა, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, კირილე ბერაძე, ანა გეგეშიძე, გივი ჯულაყიძე, ნათია პაპავა.

მოწვეული სტუმრები :

1. მუნიციპალიტეტის მერიის (საჯარო დაწესებულების) პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

2. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედეა ლეჟავა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (8) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (8) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, და წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1.,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა არველაძე/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილების (კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის) გეგმის 24795 ლარით გაზრდის) შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა არველაძე/

3. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა არველაძე/

4.ინფორმაცია, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა არველაძე/

5.საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მისი უფლება-მოვალეობის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა არველაძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (8) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (8) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N: 62-6226133117 13/05/2026 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება .,,შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63. 632535815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე" ითხოვს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535815 განკარგულებით დამტკიცებულ 2026 წლის ბიუჯეტში მუხლობრივი ცვლილების შეტანას (კომპიუტერის დაზიანების გამო, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას), კერძოდ საქონელი და მომსახურების გეგმის შემცირებას 3.0 ათ.ლარით და შესაბამისად არაფინანსური აქტივების გეგმის, ძირითადი აქტივების გაზრდას 3.0 ათ.ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა წევრთა (8) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილების (კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის) გეგმის 24795 ლარით გაზრდის) შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N:62-622609859 08/04/2026 წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილების (კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის) გეგმის 24795 ლარით გაზრდის) შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 20 მარტის N589 განკარგულებით მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია II-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს გამოეყო 1 174 506 ლარი 57 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის უფასო საქალაქთაშორისო ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად. მოცემული განკარგულების საფუძველზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 მარტის N62- 622608320 მიმართვის შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა განისაზღვრა 24 795 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე''- პუნქტის ,,ე.ე''-ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის Nბ62-62260922 02/04/2026 ბრძანებით დაზუსტდა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილება, კერძოდ: გაიზარდა კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის საქონელი და მომსახურების (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯების) გეგმა 24 795 ლარით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N:62-622609859 08/04/2026 წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილებაში შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა ზეომაღნიშნულთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის გახყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - მედეა ლეჟავას.

მედეა ლეჟავა - მოგახსენებთ, რომ „სტიქიური მოვლენების შედეგად

დაზარალებული ზოგიერთი ოჯახის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 19 მარტის N580 განკარუგლებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 1 მაისის N886 განკარგულებით 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის (საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სრულად დაინგრა ან არ ექვემდებარება აღდგენას) კომპენსაციის გაცემის მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 1 630.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს **06 03 კოდი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების სხვა ხარჯების გეგმა -** 1 630.0 ათასი ლარით.

მიმდინარე პერიოდის გეგმა-ფაქტის ანალიზიდან გამომდინარე, განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

შემცირდეს შემოსულობების ნაწილში სულ - 582.0 ათასი ლარით:

- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 300.0 ათასი ლარით;
- რენტის გეგმა - 250.0 ათასი ლარით;
- სანებართვო მოსაკრებელის გეგმა - 32.0 ათასი ლარით;

გაიზარდოს და მოწესრიგდეს შემოსულობების ნაწილში სულ - 2,811.4 ათასი ლარით:

- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - 82.0 ათასი ლარით;
- ჯარიმები, სანქციები და საურავების გეგმა - 2,729.4 ათასი ლარით;

ასევე, განხორციელდეს ცვლილება გადასახდელების ნაწილში, კერძოდ:

შემცირდეს სულ - 230.0 ათასი ლარით:

- 03 03 კოდი დასუფთავების საქონელი და მომსახურების გეგმა - 100.0 ათასი ლარით;
- 05 01 02 06 კოდი ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 80.0 ათასი ლარით;
- 01 02 01 კოდი სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 50.0 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს - 2,459.4 ათასი ლარით:

- 02 01 კოდი გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 863.8 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმა - 38.6 ათასი ლარით;
- 02 02 01 კოდი ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა - 615.7 ათასი ლარით;
- 02 03 03 კოდი სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 90.0 ათასი ლარით;
- 05 01 01 კოდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 171.3 ათასი ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 10.0 ათასი ლარით:
- 04 05 კოდი ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 550.0 ათასი ლარით.
- 04 04 კოდი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა-რეაბილიტაციის

არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 120.0 ათასი ლარით;

მუხლობრივი ცვლილებები:

- 06 02 04 კოდი სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 2.0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სხვა ხარჯების გეგმა.

- 05 01 02 06 კოდი ააიპ რაგბის კლუბი "ფენიქსი"-ს არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 2.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა;

- 06 02 04 კოდი სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა შემცირდეს 300.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს 06 02 03 კოდი დედათა და ბავშვთა დახმარების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 300.0 ათასი ლარით;

- 02 04 კოდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 83.6 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

- 01 01 01 კოდი სამტრედიის საკრებულოს შრომის ანაზღაურების გეგმა შემცირდეს 11.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N: 62-622611893 28/04/2026წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ინფორმაცია, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ".

აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - მედეა ლეჟავამ.

მედეა ლეჟავა - მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 1 იანვრისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა 5 604.9 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არსებული ნაშთი შეადგენს 2 796.7 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი - 2 808.2 ათას ლარს.

2026 წლის 3 თვეში ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 1,684.6 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 891.0 ათასი ლარი.

ინფორმაცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 9,377.0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8,681.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 92.6%.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 9,357.0 ათასი ლარი, ფაქტიურად 8,664.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 92.6% და მთლიანი - შემოსულობების 99.8% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 6,559.5 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 5,394.4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1,165.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 5,720.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 5,196.9 ათასი ლარი) 523.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

- **ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 839.3 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 641.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია 328.2 ათასი ლარი, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩარიცხულია - 281.2 ათასი ლარი;

- კაპიტალური ტრანსფერი - 47.0 ათასი ლარი (თანხა ათას ლარებში)

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 1,420.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1,776.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 125.1%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 720.3 ათასი ლარი) შედარებით 1,056.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

- **პროცენტების** სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 113.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 159.1 ათასი ლარი) შედარებით 45.2 ათასი ლარით ნაკლებია.

- **რენტის** სახით მობილიზებულია 198.6 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 122.2 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 76.4 ათასი ლარი.

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 57.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (67.5 ათასი ლარი) 84.6%-ია. მათ შორის:

  ü **სანებართვო მოსაკრებელი** მიღებულია 4.9 ათასი ლარი, რაც გეგმაზე (15.0 ათასი ლარი) 10.1 ათასი ლარით ნაკლებია.

  ü **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივი მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 52.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 54.3 ათასი ლარი) 2.1 ათასი ლარით ნაკლებია.

  ü **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან** მიღებულია 10.3 ათასი ლარი, რაც გეგმას (6.3 ათასი ლარი) 4.0 ათასი ლარით აღემატება.

- **სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** მიღებულმა შემოსავალმა მთლიანობაში 1,279.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 თვის გეგმა - 974.0 ათასი ლარი) 131.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2025 წლის ფაქტი 3 თვე - 58.5 ათასი ლარი) 1,221.0 ათასი ლარით მეტია.

- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 117.4 ათასი ლარი, რაც გეგმას (2026 წლის 3 თვის გეგმა - 90.0 ათასი ლარი) 27.4 ათასი ლარით აღემატება.

IV . არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 17.1 ათასი ლარის შემოსავალი - არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 17.1 ათასი ლარი.

2026 წლის 3 თვეში გადასახდელების შესრულების 70.4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 11.7%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2025 წლის 3 თვესთან - 11,306.6 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 3,516.0 ათასი ლარით ნაკლები და შეადგენს 7,790.6 ათას ლარს.

2026 წლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ 3 თვეში შეადგინა 11,061.6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7,790.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.4%-ია. მათ შორის:

- **ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 8,438.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 6,831.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81.0%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 87.7%-ია.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2,623.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 959.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 36.6%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 12.3%-ია.

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,146.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1,110.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 16.2%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,295.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 915.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 13.4%-ია.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4,619.5

ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 3,824.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 56.0%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება;
- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ააიპ საფრენბურთო კლუბი "ჯიკო";
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია";
- შ.პ.ს "სპორტული კომპლექსი სამტრედია";
- ა(ა)იპ რაგბის კლუბი ფენიქსი;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი";
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ.შანიძის სახ. N1 სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ტოლების სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა;
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება;
- შპს "სამტრედიის მაცნე";
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი;
- ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება;
- ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი;
- ააიპ "სახლი თანადგომა";
- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 34.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 3.2%-

ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.02%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 835.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 797.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.68%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: დედათა და ბავშვთა დახმარება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები; დაკრძალვის ხარჯი.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 507.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 182.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 35.9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 2.7%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ბინათმშენებლობა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები);
- სპორტის, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა და წარმატებული მოსწავლეების წახალისების ღონისძიებები და სხვა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია პრიორიტეტები:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

- ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,433.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 43.6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

- დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 979.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 66.7 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

3. განათლება (პროგრამული კოდი - 04 00)

- განათლება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,629.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,241.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 78.9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,113.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.5 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1,393.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.8 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

სარეზერვო ფონდი

- საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან არ განხორციელებულა თანხის გამოყოფა.

- პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (8) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო, საკითხი კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მისი უფლება-მოვალეობის შესრულების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დებულების მიხედვით კომისიის თავმჯდომარის არყოფნის, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას. ამ საკითხზე კომისიის თავმჯდომარის დავალების არ არსებობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის უხუცესი წევრი.

აქედან გამომდინარე ჩემი არყოფნის შემთხვევაში ჩემს მოვალეობას შეასრულებს კომისიის წევრი ანა გეგეშიძე.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნული საკითხი მიიღეს ინფორმაციის სახით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

გოჩა არველაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა
კომისია-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი